ხელშეკრულება №
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო: 2016 წლის 12 ოქტომბერი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

1.1 ერთის მხრივ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი, მისი დირექტორი მარინა კვიკვინიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის საერთო ღირებულება

2.1 "შემსყიდველი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გამარტივებული შესყიდვის წესით, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვის კანონის" შესაბამისად ავალებს "მიმწოდებელს" ჩაატაროს სასმელი წყლის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევები ბაქტერიოლოგიურ მაჩვენებლებზე ქალაქ ზუგდიდის 16 სკოლამდელ დაწესებულებაში. (კოდი CPV71900000)

2.2 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 850(რვაასორმოცდაათ)ლარს.

3 .სამუშაოს წარმოების, ჩაბარებისა და მიღების წესი

3.1 ხელშეკრულების საგანში /პუნქტი№2/ აღნიშნული სასმელი წყლის ანალიზის ჩატარების ჯერადობას, პერიოდულობას და მაჩვენებლების შერჩევას განსაზღვრავს "შემსყიდველი".

3.2 აღებული ნიმუშები დალუქულ მდგომარეობაში წარედგინება ლაბორატო-რიას ნიმუშის აღების აქტთან ერთად.

3.3 ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს "მიმწოდებელი" აფორმებს ოქმის სახით და წარუდგენს ნორმების მითითებით "შემსყიდველს" ანალიზის დამთავრებისთანავე, მიღება–ჩაბარების აქტთან ერთად.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას სასმელი წყლის ყოველი ნიმუშის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის "მიმწოდებელს" გადაუხადოს 50 (ორმოცდაათი) ლარი, სულ 6 ს/ბაღის გამოკვლევისათვის 300(სამასი) ლარი.

4.2 ნიმუშის აღების და ტრანსპორტირების ხარჯი – ლარი

4.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

4.4 ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში;

4.5. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის "მიმწოდებელი" ვალდებულია წარუდგინოს "შემსყიდველს" ანგარიშ ფაქტურა (ინვოისი) შესრულებულ სამუ-შაოზე.

4.6 ანგარიშსწორება იწარმოებს "მიმწოდებლის" მიერ საბუთების წარდგენიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმალობაში.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მხარეები პასუხიმგებლები არიან აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია ინფორმაციის კონფედენციალურობის დაცვაზე.

5.3 მხარეებს შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძ-ველზე, ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.4 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების გაწყვეტის ვადამდე 10 (ათი) დღით ადრე.

6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება ან ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთახმებით.

7. ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "შემსყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელის მოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

9. დამატებითი პირობები

9.2 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია, აქვთ თანაბარი ძალა და ინახება ორივე მხარესთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

" შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი "
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელი სააღმზრდელო
დაწესებულებათა ცენტრი

მის:ქ. ზუგდიდი. ღურტაველის 87
საინდიფიკაციო კოდი:419992413
მ/ა **GE24LB0330100200165022**
ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ტელ: 595006911
ელ.ფოსტა: skolamdelicentri@gmail.com

დირექტორი: / ნ. ფაღავიკვინია /

" მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი "
შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის
ცენტრი"

მის: ქ. ფოთი, მიქაბერიძე №2
საინდიფიკაციო კოდი: 215139348
მ/ ა **GE12LB0113140194132000**
ს/ს "ლიბერთი" ბანკი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ტელ:599 506162
ელ.ფოსტა: kvleviscentri@mail.ru

დირექტორი: / გ. რუხაძე/